№5

მაისი, 2023წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

ქალაქ ბოლნისში, გზების კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

გვ:2

ერთი დღე ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში

გვ:2

სპექტაკლის პრემიერა ბოლნისში

გვ:3

ქალაქ ბოლნისში, გზების კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი და ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი მირიანაშვილი ქალაქ ბოლნისში მიმდინარე გზის მოწყობის სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ.

ამ ეტაპზე, წმინდა ნინოს, ვაჟა-ფშაველას, ილია ქავჭავაძისა და სოხუმის ქუჩის ერთ მონაკვეთზე ასფალტის საფარის პირველი ფენის დაგების სამუშაოები მიმდინარეობს. ჯამში, აღნიშნულ ქუჩებზე, 1664 გრძივი მეტრი გზა მოეწყობა. პროექტის ფარგლებში, წმინდა ნინოს ქუჩაზე სანიაღვრე ქსელი, ილია ქავჭავაძისა და სოხუმის ქუჩებზე კი ტროტუარები მოეწყობა. სამუშაოებისთვის ჯამში 2 609 475 ლარი

დაიხარჯება.

ასფალტის საფარის გარდა, ქალაქში აკაკი წერეთლის, ანზორ ოჩხიკიძის, სიონის, 500 ბოლნელის ქუჩები და სოხუმის ქუჩის ერთი მონაკვეთი ქვაფენილით მოიკირწყლება. ადგილობრივი ბაზალტი 1200 გრძივ მეტრზე დაიგება. სამუშაოების ღირებულება ჯამში 2 483 176 ლარს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა ადგილობრივი ბიუჯეტისა და „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის" თანადაფინანსებით ხორციელდება.

ერთი დღე ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში

გაეროს განვითარების პროგრამა „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში" ახორციელებს პროექტს ,,ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის გაძლიერება ქვემო ქართლში," რომლის ფარგლებში ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიამ, სამიზნე ჯგუფში ჩართულ მოსწავლეებს უმასპინძლა და სხვადასხვა სამსახურის სამუშაო პროცესების სპეციფიკა ადგილზე გააცნო. ფორმატის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა, ისინი სამუშაო კაბინეტში მიიღო, რის შემდეგაც მეგზურობა გაუწია სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე. მოზარდებმა, პედაგოგთან ერთად, სოფელ ქვეშში ახლად მოწყობილი საპიკნიკე დაათვალიერეს

და მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობის მიმდინარე პროცესს ადგილზე გაეცვნენ.

პროექტის მიზანია, ქვემო ქართლის მოსწავლე-ახალგაზრდების, მათ შორის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების, ხელშეწყობა, რათა მათ გააცნობიერონ საკუთარი მოქალაქეობრივი როლი და აიმაღლონ პიროვნული განვითარების უნარ-ჩვევები. პროექტი ხელს უწყობს ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობას რეგიონისა და ქვეყნის განვითარების პროცესებში.

დავით შერაზადიშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი:

-გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ფარგლებში, სკოლის მოსწავლეებს, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა სამსახურის მუშაობის სპეციფიკა გავაცანით. ახალგაზრდებთან ერთად ინფრასტრუქტურული სამუშაოებიც მოვინახულეთ. მსგავსი პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ახალგაზრდებს საშუალება აქვთ ადგილზე გაეცნონ და დააკვირდნენ საჯარო მოხელეების მუშაობას, ეს კი ხელს უწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მათ ჩართულობას. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, მსგავს პროექტებში აქტიური მონაწილეობა მივიღოთ და ახალგაზრდებს ვუმასპინძლოთ.

ბოლნისში საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნა

26 მაისს საქართველო დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს, ამ დღესთან დაკავშირებით, ქვეყნის მასშტაბით,კულტურული, სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებები იმართება. საზეიმო განწყობა ბოლნისშიც დილიდანი, იგრძნობოდა.ღონისძიების ფარგლებში, ქალაქის შემოსასვლელიდან, ბაიკერებმა ეროვნული დროშებით მსვლელობა მოაწყვეს. მერაბ კოსტავას ქუჩაზე მოწყობილ საგამოფენო სივრცეში ადგილობრივი ხალხური რეწვისა და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატების ნამუშევრები იყო გამოფენილი. მერიის მიმდებარე ტერიტორიის სკვერში სხვადასხვა კულტურული და სპორტული აქტივობები მოეწყო. პატარებისთვის კი მთელი დღის მანძილზე კულტურის სახლის ხატვის პედაგოგები და სტუდიის მოსწავლეები სახის მოხატვაზე მუშაობდნენ.

დამოუკიდებლობის 105 წლისთავის აღსანიშნავად, ბოლნისში ღონისძიებათა ციკლი, ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების კონცერტით დასრულდა.

ქვეყანაში 26 მაისი, დამოუკიდებლობის დღედ, 1918 წელს გამოცხადდა.

„დაამსხვრიე გენდერული სტერეოტიპები“ – პროექტი ბოლნისში ჩატარდა

„დაამსხვრიე გენდერული სტერეოტიპები“ – ასე ჰქვია პროექტს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქალები ცვლილებებისთვის“ ბოლნისში განახორციელა, შეხვედრა ორი დღის განმავლობაში, იოანე ბოლნელის სახელობის სკოლაში მიმდინარეობდა, რომელსაც სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები ესწრებოდნენ, პროექტი მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებში გენდერული სტერეოტიპებისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და ცნობიერების ამაღლებას ისახავდა მიზნად.

პროექტი ბოლნისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის განყოფილების თანამშრომლობით ჩატარდა. მოეწყო WORKSOPI სხვადასხვა თემებზე, გაიმართა ფილმის ჩვენება და ფორუმ-თეატრი. მოსწავლეებმა, მიღებული ცოდნის საფუძველზე, მავნე გენდერულ სტერეოტიპებზე, მცირე მინი-სპექტაკლები წარმოადგინეს. გენდერული კუთხით ცნობიერების ამაღლების გარდა, ორგანიზატორების მიზანია სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებთან კომუნიკაციის დამყარება და თანამშრომლობა.

„დაამსხვრიე გენდერული სტერეოტიპები“ USAID/GEORGIA ფინანსური მხარდაჭერით, Georgian Institute of Politics საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ ხორციელდება.

სპექტაკლის პრემიერა ბოლნისში

პრემიერები, ახალი ინტერპრეტაციები, მიმდინარეობები, თემატიკა, მოწვეული რეჟისორები და მსახიობები - ასეთია ბოლო პერიოდის თეატრალური ცხოვრება ბოლნისში. მუნიციპალურმა თეატრმა, ამჯერად, ზღაპრად დადგმული დღევანდელი რეალობა, სცენაზე წარმოგვიდგინა. ირაკლი სამსონაძის „ინდაურის კვერცხის“ ერთ-ერთი სერია, „ხაფანგი“ მოწვეულ მსახიობთან, დავით ხახიძესთან, ერთად დაიდგა.

მოწვეული რეჟისორის ლევან ხვიჩიას მიერ, საკუთარი ინტერპრეტაციით დადგმული სპექტაკლი, ემოციური აღმოჩნდა მაყურებლისთვის. დარბაზი ზუსტად აღიქვავდა იმ მესიჯებს, რაც სპექტაკლიდან მოდიოდა. სიყვარული, ვნება, ღალატი, შურისძიება, ერთგულება- ეს ყველაფერი კომედიური ელემენტებით იყო გადმოცემული. მოწვეულ რეჟისორთან და მსახიობებთან მუშაობა საინტერესო იყო ბოლნისის თეატრის დასისთვის.

პროექტის ფარგლებში დასახული ახალი სტრატეგია, ბოლნისის თეატრს განვითარების კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს, რაც უფრო გაზრდის დასს, მაყურებლის ოდენობას და გემოვნებას. ბოლნისის თეატრი მაყურებლის წინაშე 7 ივნისს წარსდგება სპექტალით „კრიტი“, შემდეგ

,,მიზნების კვალდაკვალ - ამერიკული თავგადასავალი“

„გაიცანით აბო სულწაძე, ბოლნისის N1 საჯარო სკოლის მოსწავლე, რომელმაც ახლახან მოიპოვა დაფინანსება მომავალ ლიდერთა გაცვლით პროგრამა FLEX-ში (Future Leaders Exchange) . პროგრამა შანსს აძლევს ახალგაზრდებს - იცხოვრონ ამერიკულ მასპინძელ ოჯახში და „ჩაიძირონ“ ამერიკულ კულტურაში. აბო, რომელიც წარჩინებული მოსწავლეა და გატაცებულია სწავლით, შეირჩა რამდენიმე ათასი აპლიკანტიდან პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. ამ ინტერვიუში, იგი გაგვიზიარებს მის გამოცდილებასა და მიზნებს მომავალი წლისთვის, ასევე საკუთარ შეხედულებებს იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო აკადემიური წარმატებისთვის და საკუთარი ოცნებების განსახორციელებლად.

- რამ გიბიძგა, რომ მიგეღო მონაწილეობა FLEX-ის კონკურსში ?

- მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მიზეზი არსებობს ჩემი FLEX-ის კონკურსში მონაწილეობის, მთავარი სტიმული იყო ის, რომ მსურს უცხო ეროვნების ადამიანებს მაქსიმალურად გავაცნო საქართველოს კულტურა, ტრადიციები, ისტორია და მეც უფრო ახლოს გავიცნო ამერიკა და ამერიკელები.

- როგორ მოემზადე FLEX პროგრამისთვის და განაცხადის პროცესისთვის?

- მოსამზადებელი პერიოდი, ჩემი მხრიდან, საკმაოდ აქტიური იყო, დაწვრილებით გავეცანი პროგრამის შინაარსს და ამის შემდგომ გადავწყვიტე მონაწილეობის მიღება. განაცხადის შეტანა წინა წელსაც ვცადე, თუმცა ვერ შევძელი დაფინანსების მოპოვება, წელს გადავავლე დაშვებულ შეცდომებს თვალი, მეტად მოვინდომე და წლევანდელი წელი შედეგიანი აღმოჩნდა.

- როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა წარმატება მომავალ ლიდერთა გაცვლით პროგრამა FLEX-ში და რატომ შეგარჩიეს?

- მთავარი, რამაც წარმატება განაპირობა, არის ბოლნისის პირველი საჯარო სკოლა, სადაც უკვე 11 წელია ვსწავლობ, უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩემს პირველ პედაგოგს ქეთევან დადვანს და ინგლისურის პედაგოგს ნინო ნიგურიანს, ასევე ჩემს მონდომებას. სანამ ამ წარმატებამდე მივიდოდი, გრძელი გზა გავიარე, თუმცა მონდომების საშუალებით ყველაფერი შესაძლებელია. არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც აპლიკანტმა განაცხადის შევსებამდე უნდა გაიაზროს. ის აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს პროგრამის მიზნებსა და მოთხოვნებს, ამის საფუძველზე უკვე ხდება მისი შერჩევა. მსურს აღვნიშნო, რომ ყველაფერი უფლის ნებაა, ყოველთვის ვცდილობ უფალთან სიახლოვეს, ლოცვით და ტაძარში სიარულით. ამიტომ, ესეც მიმაჩნია წარმატების მთავარ ფაქტორად.

- რა არის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს აკადემიურ წარმატებას და როგორ იყენებ ამ ფაქტორებს სწავლაში?

- როგორც უკვე აღვნიშნე, ძირითად ფაქტორად მონდომება მიმაჩნია, მაგრამ არსებობს ბევრი ფაქტორი, რომელიც საჭიროა აკადემიური წარმატების მისაღწევად. მაგალითად, ადამიანმა უნდა შეიმუშაოს გეგმა და რაც მთავარია, ამ გეგმის შესრულებისთვის სწორი გზა იპოვოს. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, დიდ მოთმინებას, შრომასა და დისციპლინას მოითხოვს, მაგრამ შეუძლებელი არაფერია.

- თუ გქონია წარსულში რაიმე მნიშვნელოვანი აკადემიური, სწავლასთან დაკავშირებული გამოწვევა და როგორ გადალახე ისინი?

- წარსულში სწავლასთან დაკავშირებული მრავალი გამოწვევა მქონია, მაგალითად, როგორც აღვნიშნე წინა წელსაც ვცადე FLEX-ის პროგრამაში მონაწილეობა, გადავხედე დაშვებულ შეცდომებს, შევისწავლე პროგრამა უფრო დეტალურად და მივაღწიე გარკვეულ წარმატებას.

- როგორ ფიქრობ, რით განსხვავდება ამერიკაში სწავლა საქართველოში სწავლისგან?

- ამერიკაში სწავლა საქართველოში სწავლისგან რამდენიმე ნიშან-თვისებით განსხვავდება, მაგალითად, ამერიკის სკოლის სისტემა სრულიად განსხვავებულია, უფრო დახვეწილი და მოსწავლეზე მორგებული. ასევე ამერიკაში სწავლა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და შედარებით უფრო რთულია. პირადად მე, საქართველოში არსებული სასწავლო სისტემით კმაყოფილი ვარ და მიმაჩნია, რომ თუ მოსწავლე მოინდომებს, ის აუცილებლად შეძლებს საქართველოში საკმარისი განათლების მიღებას.

- არის რაიმე კონკრეტული საგანი/მიმართულება, რომლის გავლაც გსურს ამერიკაში?

- ამერიკაში ყოფნისას მაქსიმალურად მსურს მოვირგო ამერიკელი მოსწავლის როლი, მსურს გამოვცადო რამდენიმე საგანი, რომელიც არ ისწავლება საქართველოში. მაგალითად, საერთაშორისო ურთიერთობები და მსოფლიო ისტორია.

- როგორ გეგმავ ამერიკაში დროის მაქსიმალურად გამოყენებას?

- ვეცდები შევადგინო განრიგი, რომლითაც შევძლებ ამერიკაში ყოფნისას ყოველი დღის მაქსიმალურად გამოყენებას.

- როგორ აბალანსებ აკადემიურ პასუხისმგებლობას სხვა აქტივობებთან და ინტერესებთან და რა სტრატეგიებს იყენებ დროის ეფექტურად მართვისთვის?

- აკადემიური პასუხისმგებლობას და საკუთარი ინტერესების დასაბალანსებლად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია დროის კონტროლი. მოწესრიგებული განრიგის დახმარებით, ბევრად მარტივია ამ ყველაფრის დაბალანსება. ასევე, საკუთარ ცხოვრებაში უნდა ვიცოდეთ, თუ რა არის პრიორიტეტული და შესაბამისად დავაკავშიროთ სხვა დანარჩენი აქტივობა.

- რა რჩევას მისცემდი სხვა მოსწავლეებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მიიღონ მონაწილეობა მსგავს პროგრამებში, ან ზოგადად მიაღწიონ აკადემიურ წარმატებას?

- პირველ რიგში, აუცილებელია პროგრამის მაქსიმალურად გაცნობა, შემდგომ უკვე ყველაფერი დამოკიდებულია მოსწავლის უნარებსა და მონდომებაზე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, ასევე, არის არ დანებება. შესაძლებელია, რომ პირველ ცდაზე არ გამოგვივიდეს ყველაფერი, რაც დაგეგმილი გვაქვს, მაგრამ მთავარია წარუმატებლობას არ შევეგუოთ.

- როგორ აპირებ გამოცდილების გაზიარებას თანატოლებთან საქართველოში, საზღვარგარეთ გატარებული ერთი წლის შემდეგ?

- პროექტის და ასევე ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანია მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება თანატოლებისთვის, ამიტომ შევეცდები, რომ ერთი წლის შემდეგ მეგობრებს აქტიურად გავაცნო ყველა ის გამოცდილება, რომელსაც ამერიკაში გატარებული ერთი წლის მანძილზე დავაგროვებ.

- რა არის შენი გრძელვადიანი აკადემიური და კარიერული მიზნები და როგორ დაგეხმარება მათ მიღწევაში FLEX პროგრამა?

- გრძელვადიანი მიზნების ასრულებაში FLEX-ის პროგრამა საკმაოდ დიდ როლს ითამაშებს, რადგან მსურს სწავლის გაგრძელება საერთაშორისო ურთიერთობების განხრით, ხოლო ამერიკა არის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ეთნიკურად მრავალფეროვანი და მულტიკულტურული ქვეყანა.

მადლობა, გისურვებთ წარმატებას!

გველის ნაკბენი

გველის ნაკბენი საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვანი პრობლემაა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით მსოფლიოში ყოველწლიურად 5 მილიონი ადამიანი ხდება გველის ნაკბენის მსხვერპლი, რომელთაგან შხამიანი გველების გავრცელების არეალებისა და მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით 138000-მდე იღუპება, ხოლო დაახლოებით სამჯერ მეტს, სიცოცხლის შესანარჩუნებლად სჭირდება ქირურგიული მკურნალობაც, ამპუტაციის ჩათვლით.

გველის თავდასხმისა და კბენისგან დაზარალებულები ძირითადად სოფლად მცხოვრები და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ადამიანები არიან.

მსოფლიოში 600 სახეობამდე გველია, რომელთა 70% შხამიანია. საქართველოში გველგესლას გვარის 4 სახეობის გველია გავრცელებული, რომელთაგან ყველაზე შხამიანია გიურზა. იგი აღმოსავლეთ საქართველოს ნახევრადუდაბნო ტერიტორიებზე ცხოვრობს. აღსანიშნავია, რომ ახალგამოჩეკილი გველის შხამი ისევე საშიშია, როგორც ზრდასრულის.

საქართველოში კლიმატური პირობების გათვალისწინებით გველი აქტიურდება აპრილიდან და მისი აქტიურობა ოქტომბრის ბოლომდე გრძელდება. საკვებისთვის უმთავრესად ღამით გამოდის, მაგრამ გაზაფხულზე, ძლიერი სიცხეების დადგომამდე შეიძლება დღისითაც შეგვხვდეს. ძლიერი სიცხეების დროს გრილ და ჩრდილიან ადგილებში ისვენებს.

გველის ნაკბენი, ჩვეულებრივ, უმტკივნეულოა. ძირითადად გვხვდება მცირე ზომის ჭრილობა ან ნაკაწრი, რომელიც შესაძლოა შეუმჩნეველიც იყოს. ჭრილობას შეიძლება თან ახლდეს სისხლჩაქცევა, სისხლდენა, ლოკალური შეშუპება, რეგიონალური ლიმფადენოპათია.

შხამიანი გველისგან დაკბენის სიმპტომატიკა გველის სახეობასა და შესაბამისად მისი შხამის შემადგენლობაზეა დამოკიდებული. ხშირად დაკბენის შემდგომ ვითარდება:

- კანზე გველის კბილის ნიშანი;
- სისხლმდენი ჭრილობა;
- მხედველობის ბუნდოვნება;
- დაკბენის ადგილის წვა;
- კრუნჩხვა;
- დიარეა;
- თავბრუსხვევა;
- ოფლიანობა;
- გრძნობის დაკარგვა;
- ცხელება;
- წყურვილის შეგრძნება;
- ქსოვილის ლოკალური კვდომა;
- კუნთების მუშაობის კოორდინაციის დაკარგვა;
- გულისრევა, ღებინება;
- გაშეშება, ჩხვლეტა სხეულის გაშეშებულ ნაწილში;
- პულსის აჩქარება;
- მწვავე ტკივილი;
- კანის გაფერმკრთალება;
- ნაკბენის შეშუპება;
- საერთო სისუსტე.

გართულებების თავიდან ასაცილებლად, გველის ნაკბენისას ყოვლად დაუშვებელია:

- ნაკბენიდან სისხლის გამოწოვა;
- ნაკბენი ადგილის გაკვეთა;
- მოწვა;
- ასეპტიური ნივთიერებით დამუშავება (იოდი, ბრილიანტის მწვანე, სპირტი);
- ლახტის დადება;
- ყინულის დადება;
- სპირტიანი სასმელის მიღება;
- არ მოიბანოთ დაკბენილი ადგილი;

პირველი დახმარება გველის ნაკბენის დროს:

- დაკბენილი ადამიანი დააწვინეთ ბრტყელ ზედაპირზე, სიცივის შეგრძნებისას გადააფარეთ საბანი ან პლედი;
- გველის კბენის შემთხვევაში, კლინიკაში მიყვანამდე დაზარალებულმა უნდა მიიღოს დიდი რაოდენობით სითხე, ანაფილაქსიური შოკის პრევენციისთვის სასურველია ალერგიის საწინააღმდეგო და სტეროიდული საშუალებების მიღება, ხოლო ტკივილის დროს ასევე რეკომენდებულია ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების მიღება.
- დაუყოვნებლივ დაუკავშირდით და მიმართეთ ექიმს, რომელიც ნაკბენის მიხედვით გაარკვევს კბენა არის შხამიანი თუ უშხამო გველისგან;
- დაზიანებული (დაკბენილი) არე უმჯობესია იყოს გულის დონეზე ოდნავ დაბლა;
- თუ კბენა მოხდა ხელის არეში მოიხსენით ბეჭედი ან სხვა რაიმე მორთულობა, რაც დაზიანებულ არეზე ან მის ახლოს გიკეთიათ, ვინაიდან ნაკბენისათვის დამახასიათებელია შეშუპება;
- თუ დაზიანებული ადგილი შეშუპდა და კანმა ფერი შეიცვალა, სავარაუდოა, რომ გველი შხამიანი იყო;
- რეგულარულად აკონტროლეთ დაზარალებულის სასიცოცხლო ნიშნები – ტემპერატურა, პულსი, სუნთქვის სიხშირე, სისხლის წნევა;
- თუ დაკბენის შემდგომ მოკლავთ გველს, ხელი არ მოკიდოთ მანამ, სანამ არ დარწმუნდებით სრულ უსაფრთხოებაში. თუ დამკბენი გველის მოკვლა ვერ მოახერხეთ, ნუ დაკარგავთ დროს და ზედმეტად ნუ გარისკავთ. ტრანსპორტირების შემთხვევაში მკვდარი გველი მოათავსეთ მყარ ყუთში ან მკვრივ ტომარაში (პარკი). მიუხედავად ამისა, მკვდარი გველის თავთან იყავით ფრთხილად, ვინაიდან რეფლექსურად 1 საათის განმავლობაში მას კიდევ შეუძლია კბენა.
- სამედიცინო დაწესებულებებში გველის ნაკბენის შემთხვევაში, მკურნალობისთვის გამოიყენება მონო (თუ გველის სახეობა იდენტიფიცირებულია) და/ან პოლივალენტური (თუ სახეობის იდენტიფიცირება ვერ მოხდა) გველის შხამის საწინააღმდეგო შრატები.

პრევენცია

- მინდვრად, ტყეში ან სხვაგან ყოფნისას თუ მიწაზე შენიშნავთ ჭრელ, ლამაზ ჯოხს ან მსგავს საგანს არ ეცადოთ მისი ხელში აღება, ან ფეხის დადგმა, ეს შესაძლოა გველი იყოს.
- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გავრცელებული გველების უმეტესობა არაა შხამიანი, თავი აარიდეთ ხელის ხლებასა და მათთან თამაშს, თუ არ გაქვთ სპეციალური მომზადება გავლილი.
- ნაკბენთა უმეტესობა გამოწვეულია დაზარალებულის მიერ გველის პროვოცირებით (გაღიზიანებით).
- თუ ხართ გველების გავრცელების ტერიტორიაზე, ან გეეჭვებათ ამ ადგილას გველების არსებობა, ჩაიცვით გრძელი შარვალი და მაღალყელიანი ფეხსაცმელი (ჩექმა).
- თუ თან გაქვთ ჯოხი, სიარულისას აკაკუნეთ, რადგან მსგავსი გამაფრთხილებელი ხმის გაგონებისას გველი თვითონ მოგერიდებათ.

Cavşanian dövlət məktəbinin şagirdi “Sevgi ilə görünən dünya” müsabiqəsinin qalibi olub

Bolnisi bələdiyyəsinin Cavşaniani dövlət məktəbinin 11-ci sinif şagirdi Müəllimlər İttifaqının elan etdiyi və bütün Gürcüstanda dövlət və özəl məktəblərin yeddinci-on ikinci sinif şagirdləri üçün elan etdiyi “Sevgi ilə görülən dünya” müsabiqəsində iştirak edib. Mənəvi dünyasının rənglərlə çatdırıldığı müsabiqədə Turanə Süleymanova öz rəsmlərini təqdim edib. Onun yaradıcılığı yüksək qiymətləndirilib və müsabiqənin qalibi olub, Cavşaniani məktəbinin şagirdinə fəxri fərman və hədiyyə çeki verilib. Məktəbin gürcü dili müəllimi layihədə fəal iştirak edib. Qalib Gürcüstanın İakob Qoqebaşvili adına Müəllimlər İttifaqının yaratdığı xüsusi münsiflər heyəti tərəfindən seçilib. Müsabiqənin məqsədi orijinal ədəbi əsərlərin üzə çıxarılması və Norch rəssamlarının yaradıcılığını təqdim etməkdir. “Müsabiqədə qalib gələn müəlliflərə Rustavinin “Akademik şəhəri” ev sahibliyi etmiş, qaliblər arasında məktəbimizin şagirdi də olmuşdur. Onlara fəxri fərmanlar və hədiyyə çekləri verilmişdir ki, bunda Bolnisi bələdiyyəsinin də böyük əməyi olmuşdur. Qaliblərə Biblus vauçerlərini verən Ratevan sakini, iş adamı Quram Qoqaladzedir. Bu xeyriyyəçiliyə, yardıma və dəstəyə görə ona təşəkkür etmək istəyirəm. Belə aksiya gəncləri həvəsləndirmək üçün çox şey deməkdir.Layihənin müəlliflərinə, Təhsil və Elm Nazirliyinə və İ. Qoqebaşvili Müəllimlər İttifaqının sədri Qari Çapidzeyə, onun müavini, professor Leyla Qeqeşidzeyə bu fövqəladə fürsətə görə təşəkkür edirik. Cavaşaniani dövlət məktəbinin gürcü dili müəllimi Nino Lomsadze “Bolnisi qəzetinə” bildirib ki, bu cür müsabiqələr tələbələr - gənclər üçün vacibdir ki, onlar öz istedadlarını reallaşdıra bilsinlər,,

Bolnisi Bələdiyyəsinin Meriyası ilə Gürcüstanın Yerli Özünüidarəetmə Orqanlarının Milli Assosiasiyası arasında əməkdaşlıq memorandumu imzalanıb

Bələdiyyə sosial xidmətlərinin iştirakçı planlaşdırılması yanaşmasının həyata keçirilməsini təşviq etmək məqsədilə Bolnisi Bələdiyyəsinin Meriyası və Gürcüstan Yerli Özünüidarəetmə Orqanlarının Milli Assosiasiyası arasında əməkdaşlıq memorandumu imzalanıb. Bolnisi bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili Avropa İttifaqının maliyyələşdirdiyi “Gürcüstanda sosial müdafiənin gücləndirilməsi” layihəsi çərçivəsində Gürcüstanın Yerli Özünüidarəetmə Orqanlarının Milli Assosiasiyası ilə əməkdaşlıq memorandumu imzalayıb. Layihənin məqsədi pilot bələdiyyələrdə sosial proqramlarda iştiraklı planlaşdırma yanaşmasının tətbiqini təşviq etməkdir. 9 aylıq layihə ərzində layihənin ekspertlərindən ibarət qrup Sam - Bolnisi, Axaltsixe və Duşeti bələdiyyələri ilə işləyərək onlara bələdiyyələrin sosial proqramları üzrə hədəf qruplarını müəyyən etmək, ehtiyacları müəyyən etmək və yerli ictimaiyyəti cəlb etməklə proqramları planlaşdırmaqda köməklik göstərəcək. Layihə çərçivəsində bələdiyyələrin sosial proqramlarının planlaşdırılması prosesində yerli əhalinin iştirakı üçün alətlər, fəaliyyət təlimatları da hazırlanacaq, pilot bələdiyyələrdə yerli işçi qruplarına treninqlər və yerlərdə təlimlər keçiriləcək. Bələdiyyələr həmçinin həm yerli, həm də beynəlxalq qabaqcıl təcrübə və təcrübələr haqqında məlumat alacaqlar. Qeyd edək ki, memorandumu imzalamazdan əvvəl Davit Şerazadişvili deputat Valentina Naverian ilə birlikdə Gürcüstanın Yerli Özünüidarəetmə Orqanları Milli Assosiasiyasının nümayəndələri ilə görüş keçirib, layihənin məqsədləri və həyata keçirilməsi yollarını müzakirə edib.“Bolnisi bələdiyyəsi sosial proqramları ilə seçilən bələdiyyələrdən biridir. Biz bu proqramları daha əhatəli və bütün həssas qruplara uyğunlaşdırmağa çalışırıq və Gürcüstanın Yerli Özünüidarəetmə Orqanlarının Milli Assosiasiyasının layihəsi, şübhəsiz ki, bu məqsədi uğurla yerinə yetirməkdə bizə kömək edəcəkdir. “Bolnisi bələdiyyəsi sosial proqramları ilə seçilən bələdiyyələrdən biridir. Biz bu proqramları daha əhatəli və bütün həssas qruplara uyğunlaşdırmağa çalışırıq və Gürcüstanın Yerli Özünüidarəetmə Orqanlarının Milli Assosiasiyasının layihəsi, şübhəsiz ki, bu məqsədi uğurla yerinə yetirməkdə bizə kömək edəcəkdir. Bolnisi Bələdiyyəsi hər zaman oxşar layihələrdə fəal iştirak etməyə hazırdır və dəstəyinə görə Gürcüstanın Yerli Özünüidarəetmə Orqanları Milli Assosiasiyasına çox minnətdaram”, - Bolnisi Bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili bildirib.

Papilloma virusuna qarşı peyvəndlə bağlı məlumat kampaniyası davam edir

Bolnisi Bələdiyyəsinin İctimai Sağlamlıq Mərkəzi məlumatlandırma kampaniyasını davam etdirir, Bolnisi Bələdiyyəsi meriyasının Gender Bərabərliyi Şöbəsi və Şurasının təşkilatçılığı ilə Ratevan kəndində görüş keçirilib. Məktəb müəllimlərinə və valideynlərə uşaqlıq boynu xərçəngi və onun yaranma səbəbləri haqqında məlumat verilib. Papilloma virusu müzakirə edilib, xəstəliklərin qarşısının alınması tədbirləri və dövlət tərəfindən göstərilən səhiyyə xidmətləri müzakirə edilib. İclasda Milli Xəstəliklərə Nəzarət Mərkəzinin nümayəndəsi iştirak edib, immunizasiyanın həyat və sağlamlıq üçün təhlükəli xəstəliklərdən effektiv qorunma vasitəsi kimi fəaliyyətindən danışıb, peyvəndin effektivliyi və təhlükəsizliyinə diqqət yetirilib. İsveç hökumətinin və Birləşmiş Millətlər Təşkilatının İnkişaf Proqramının dəstəyi ilə bütün ölkə ərazisində papiloma virusunun peyvəndini təbliğ etmək və maarifləndirmək üçün planlaşdırılan görüşlər keçirilir. Məlumat kampaniyası Bolnisi Bələdiyyəsində Meriyanın Gender Bərabərliyi Departamenti və Şura tərəfindən təşkil olunur.

Gürcüstan parlamentinin Maliyyə və büdcə komitəsi sədrinin birinci müavini

Bolnisi, Dmanisi, Tetritskaro və Tsalkanın majoritar deputatı Qoqi Meşveliani əslən Bolnisidən olan Kamran Ramazanlının müəlifi olduğu “Heydər Əliyev və Gürcüstanın enerji strategiyası” kitabının təqdimatına qatılıb. Kitab Heydər Əliyevin anadan olmasının yüz illiyinə həsr olunmuşdu. Tədbirdə Azərbaycan-Gürcüstan münasibətləri və onun önəmi haqqında söhbətlər apardıq. Biz Azərbaycanla sıx əlaqələri və iki ölkə arasında strateji tərəfdaşlığı yüksək qiymətləndiririk. Bu əlaqələr günü gündən dahada inkişaf edir və dərinləşir. Bununla əlaqədar yuxarıda qeyd olunan kitabda çoxlu nümunələr və faktlar var. Hər iki ölkəyə uğurlar arzu edirəm!,,- Qoqi Meşveliani bildirib.

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

ბოლნისური ღვინოები შვეიცარიაში

ქალაქ ბერნში, საქართველოს საელჩომ შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას უმასპინძლა.

ღონისძიების მიზანი იყო ქვეყნის მდიდარი კულტურისა და მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, თანამედროვე ქართული ხელოვნების, ღვინისა და გასტრონომიის კიდევ უკეთ გაცნობა მიწვეული სტუმრებისთვის.

კომპანია არემჯის კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში, რომელიც გაერთიანება ღვინო ბოლნისში შემავალი მეღვინეობების პროდუქციის ქვეყნის გარეთ პოპულარიზაციას და მათი სხვადასხვა ევროპულ ბაზრებზე წარგენას ითვალისწინებს, სპეციალურად ღონისძიებისთვის 14 მცირე ბოლნისური მარნის ღვინოები შეირჩა.

„ბოლნისელი მეღვინეებისთვის ეს იყო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დღე. შვეიცარიის კონფედერაციაში საქართველოს საელჩოსა და ჩვენი მეგობარი კომპანია არემჯის დახმარებით მოვახერხეთ და 14 ბოლნისური მარნის ღვინო ჩამოვიტანეთ ბერნში და წარვუდგინეთ შვეიცარულ საზოგადოებას. ჩვენმა ღვინოებმა, მართლაც რომ დიდი მოწონება დაიმსახურეს, გავცვალეთ კონტაქტები და იმედი მაქვს მალე გვექნება კონკრეტული შემოთავაზებები.“ - განაცხადა გაერთიანება ღვინო ბოლნისის დამფუძნებელმა გურამ ავქოფაშვილმა.

ღონისძიებაზე მოწვეულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ პირადად გასაუბრებოდნენ ღვინო ბოლნისის და არემჯის წარმომადგენლებს და მათგან მიეღოთ დეტალური ინფორმაცია, ქართული ღვინის კულტურის, კერძოდ კი ბოლნისური ღვინოების ასორტიმენტის, მათი დაყენების ტექნოლოგიისა და სხვა საინტერესო დეტალების შესახებ.

„პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო, შვეიცარიაში საქართველოს ელჩს ბ-ნ რევაზ ლომინაძეს, რომელმაც მოგვცა შესაძლებლობა, რომ არემჯის წარედგინა ბოლნისური ღვინოები ქართული დიასპორისა და შვეიცარული საზოგადოებისთვის. ჩვენი კომპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და წარმატებული მიმართულებაა ბოლნისური

მევენახე-მეღვინეების გაერთიანების მხარდაჭერა, სწორედ ამიტომ ვაგრძელებთ თანამშრომლობას და ბოლნისური ღვინოების პოპულარიზაციას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მოხარული ვარ, რომ 17 ივნისს ქალაქი ბოლნისი - ბოლნისის ადგილწარმოშობის ღვინის ფესტივალსაც უმასპინძლებს, სადაც დასწრებას ყველა ღვინის მოყვარული შეძლებს.“ - ზურაბ დევდარიანი, არემჯის კორპორაციული პასუხისმგებლობის მენეჯერი.

საღამო შვეიცარიაში მცხოვრები ცნობილი ქართველი პიანისტის, თამარ ბერაიას კლასიკური მუსიკის კონცერტით გაიხსნა, რომელსაც აკომპანიმენტი ახალგაზრდა მუსიკოსებმა ლიზა მეგრელიშვილმა და ბარბარა თათარაძემ გაუწიეს.

საგამოფენო სივრცეში შვეიცარიაში მცხოვრები ქართველო ხელოვანების - მაკა დადიანისა და ნინა გამსახურდიას ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო.

მარო შენგელია

კომპანია არემჯის ტექნიკური კონტროლის განყოფილების კონტროლიორი

მარო შენგელია 34 წელია კომპანია არემჯის თანამშრომელია, მუშაობა 1989 წელს დაიწყო, სინჯის ამღების პოზიციაზე. ამჟამად კი ტექნიკური კონტროლის განყოფილებაში კონტროლიორია. როგორც თავად ამბობს განვლილი ცხოვრების ძირითადი ნაწილი კომპანიაში გაატარა. ეს არის ადგილი, სადაც ყოველი სამუშაო დღე უხარია, რადგან აქ არიან ადამიანები, რომლებსაც ოჯახის წევრებს უწოდებს.

„კაზრეთის №1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა დაბაში არსებულ სასწავლებელში, გამამდიდრებლის პროფესიით გავაგრძელე, შემდეგ კი თბილისის კავშირგაბმულობის ტექნიკუმში. 1976 წელს დავვოჯახდი, თუმცა არ გავჩერებულვარ, სამი შვილის დედამ დავამთავრე ელექტრო მოწყობილობათა მომსახურე ელექტრომონტიორის სპეციალობა. თავდაპირველად ვმუშაობდი თბილისის საერთაშორისო ქსელებში, შემდეგ კი ბოლნისის ფოსტაში, კომპანიაში მისვლის პირველი დღე არასდროს დამავიწყდება, ვნერვიულობდი, თუმცა თანამშრომლების დახმარებით მალევე შევისწავლე სამუშაო, ყველა საქმეს სჭირდება პასუხისმგებლობა, ჩვენს შემთხვევაშიც ასეა. მთავარი კორპუსიდან ვიღებთ სინჯებს, ვფილტრავთ, ვაშრობთ, ვფქვავთ, პაკეტებში ვყრით და ანალიზისთვის ვაბარებთ ქიმიურ ლაბორატორიაში. მთავარი ერთი რამ არის, გიყვარდეს საქმე, რომელსაც ემსახურები და ყველაფერი მარტივია, როცა ყურადღებას და დაფასებას გრძნობ როგორც თანამშრომლებისგან, ასევე ხელმძღვანელებისგან, ეს სასიხარულოა და მეტი სტიმულოს მომცემიც.

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: მაგდა დევნოზაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი.

სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.